

შპს „სივრცე“ (ს/კ 400115200)

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შპს „სივრცე“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობა

	31/12/2022	31/12/2021
	2	1
ფინანსური მდგომარეობა		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	188591	216153
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1030593	1281164
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	321438	0
მარაგები	182265	413083
მზა პროდუქცია	0	0
სხვა	182265	413083
საინვესტიციო ქონება	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	93654	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0
გადაფასების მოდელით	0	0
გუდვილი	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0
ძირითადი საშუალებები	62601	60054
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0
სულ აქტივები	1879142	1970454
ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულება	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	183443	61774
ანარიცხები	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	5841	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	528714
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	188639	206709
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	432841	0
მიღებული გრანტები	0	0
სხვა ვალდებულებები	617266	0
სულ ვალდებულებები	1428030	797197
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	0	0
საემისიო შემოსავალი	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	451112	1173257
გადაფასების რეზერვი	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	451112	1173257
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1879142	1970454
სულ მოკლევადიანი აქტივები	1540622	1458758
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	0	0

საქმიანობის შედეგები

	31/12/2022	31/12/2021
	2	1
საქმიანობის შედეგები		

შპს „სივრცე“ (ს/კ 400115200)

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ნეტო ამონაგები	1267341	2844616
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწევიდან	1267341	2844616
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-1184734	-2029961
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	82607	814655
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-147773	-299950
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-19159	-42652
საპროცენტო შემოსავალი	63136	43175
საპროცენტო ხარჯი	-66226	0
იჯარის ხარჯი	-7118	-8994
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-138686	-20328
სულ საოპერაციო ხარჯები	-315826	-328749
საოპერაციო მოგება	-233219	485906
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და		
სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-143188	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	-89821
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი		
ოპერაციებიდან	-376407	396085
მოგების გადასახადის ხარჯი	-51861	-48669
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-428268	347416
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების)		
გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი		
ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი		
პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-428268	347416
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1173257	1101630
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა',		
კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-293877	-275789
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	451112	1173257

ფულადი სახსრების მოძრაობა

შპს „სივრცე“ (ს/კ 400115200)

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	31/12/2022	31/12/2021
	2	1
ფულადი სახსრების მოძრაობა		
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-27562	-375069
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-27562	-375069
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	216153	591222
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	188591	216153

შპს „სივრცე“ -ს ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სივრცე“ (კომპანია) საიდენტიფიკაციო ნომრით 400115200, დარეგისტრირებულია საქართველოში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის იურიდიული მისამართი არის ქ. თბილისი, გლდან-ნაძალადევის რაიონი, დ. გურამიშვილის ქ. №50 ბ 27.

ფაქტიური მისამართი ქ. თბილისი მარშალ გელოვანის 13

კომპანიის დირექტორი გიორგი წაქაძე. 100% წილის მფლობელია დავით კვეტენაძე

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებას შვილობილი კომპანიები, რეგისტრირებული ფილიალები ან/და წარმომადგენლობები არ გააჩნია.

2. მომზადების საფუძველი

ზოგადი ინფორმაცია

კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის დაშვებით, რომ კომპანია წარმოადგენს მოქმედ საწარმოს და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება წარდგენილ პერიოდზე.

ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ და წარდგენის ვალუტა წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში წარმოებული ოპერაციების ასახვა ბუღალტრულ ანგარიშგებაში ხორციელდება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული კურსით. საანგარიშო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თავდაპირველი თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ხარჯი, თუ არის ამის აუცილებლობა.

ძირითადი საშუალების ერთეულის თვითღირებულება მოიცავს მშენებლობის ხარჯს ან შესყიდვის ფასს, მასთან დაკავშირებულ იმპორტის გადასახადებს, გამოუქვითავ გადასახადებს და სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. ნებისმიერი სავაჭრო ფასდათმობა გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

ცვეთის დარიცხვა ძირითად საშუალებებზე ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი 20%

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები 20%

სატრანსპორტო საშუალებები 20%

სრულად ამორტიზირებული არამატერიალური აქტივი

კომპანიას საკუთრებაში აქვს სრულად ამორტიზირებული არამატერიალური აქტივი, ბუღალტრული პროგრამა „ორისი“, რომლის გამოყენება ისევ გრძელდება.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან სტანდარტული საკრედიტო პირობებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ვალდებულებები გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით.

ამონაგების აღიარება

კომპანიისთვის ამონაგები არის შემოსავალი, რომელსაც იღებს სამშენებლო ხელშეკრულებებიდან და მომსახურების გაწევიდან. კომპანია მომსახურების გაწევიდან და სამშენებლო ხელშეკრულებიდან მიღებულ ამონაგებს აღიარებს შესრულებული სამუშაოს პროპორციულად, საანგარიშგებო პერიოდისთვის გაწეული ხელშეკრულების საფუძველზე.

ხარჯების აღრიცხვა

ხარჯები აღიარდება თუ მოსალოდნელია საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელის დაკავშირებული არაა მესკუთრეზე გაცემულ განაწილებებთან. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალი ანგარიშგებაში.

დირექტორი

გიორგი წაქაძე

